

დიდი მიზნის სთავაზობა

(არსუზა პიტიახვის ხელახალი რეაბილიტაციისათვის)

„ქვეიანი ვაუკაობაი ეგე არნ: სად ღონეი ვერ ღონობს, იქაიდ ხერხს ემუღენის“.

0. 5 3 3 3 3 3 3 0

ქართველ ისტორიკოსთა ძველი თაობა არშუ-
შა ქართლის პიტიახს (V ს.) ნაკლებად სწყა-
ლობდა: ერისა და ქვეყნის წინაშე მის ღვაწლს
ან დუმილით უვლიდნენ გვერდს. ან საქოტ-
მანოდ მიიჩნევდნენ. თანამედროვე ქართულმა
ისტორიოგრაფიამ, ლიტერატურათმცოდნეო-
ბასთან ერთად, ინტენსიურად სცადა ამ დიდი
პიროვნების რეაბილიტაცია. ხსენებული პრო-
ცესის წარმატებით დაგვირგვინებას ხელი
შეუშალა ი. ლოლაშვილის მეცნიერულ-პოპუ-
ლარულმა მონოგრაფიამ „ქართული წიგნისა და
მწერლობის საწყისებთან“ (თბ., 1978, 112 გვ.).
რომელშიც დაკნინებულია არა მხოლოდ არშუ-
შას ღვაწლი, არამედ მისი მოდგმისაც.

წიგნის გამოქვეყნებიდან რამდენიმე ხნის
შემდეგ მისი ავტორი, რომელიც ნაყოფიერ-
რად მოღვაწეობდა ძველი ქართული ლიტერატურის
ისტორიასა და მომიჯნავე დარგებში,
ტრაგიკულად დაიღუპა. ამტომაც თავდაპირ-
ველად მისი დასახელება. ეთიკური მოსაზრე-
ბით, უხერხულად ვცანიტ. მაგრამ არც დუმილი
შეიძლებოდა, რადგანაც ხსენებულ მონოგრა-
ფიაში დაშვებული შეცდომები აჩნდებდა არა
მხოლოდ არშუშა პიტიახვის პიროვნების, არა-
მედ V ს. ქართლის, გარკვეულწილად მაშინდე-
ლი ამიერკავკასიის, ისტორიული სიტუაციის
მართებულ გააზრებას. ვფიქრობთ, ამგვარი
სარვეში არ უნდა გაპარულიყო ნაშრომში
საზოგადოდ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ
იგი ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაა
გამიზნული და არა მხოლოდ სპეციალისტთა
ვიწრო წრისათვის. ფართო მკითხველ საზოგა-
დოებას არა აქვს დრო. შესაძლოა — სურვი-
ლი და გამოცდილება იმისათვის, რომ შეა-
მოწიოს მიღებული ინფორმაციების სიზუს-
ტე და, ამით, საბოლოოდ არასწორი შეხედუ-
ლება განუშტკივდეს ჩვენს წინაპრებსა და მათ
სულიერ მემკვიდრეობაზე. ამტომაც დიდი
სიფრთხილედ მმართველ ქართველი ხალხის ის

ტორიული წარსულის შესახებ დაწერილი
მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ნაშრო-
მების ავტორებს. მხოლოდ ამგვარი სიფრთხი-
ლის საქირობის შეგნებამ გვიკარნახა წინა-
მდებარე წერილის გამოქვეყნება. რასაც, იმე-
დია, მიუყრდნობელი მკითხველი ნეტარსე-
ნებული ავტორისადმი უპატივისმცემლობაში
არ ჩამოგვართმევს. მით უფრო, როცა ეს წე-
რილი დიდი ხანია დაიწერა — თვით მის სი-
ცოცხლეში.

მკვლევარის კონცეპტუალური ხასიათის
შეცდომა ვლინდება მკვეთრ, რადიკალურ დე-
ბულეზაში: „შუშანიკი იყო ვარდან მაშეკო-
ნიანის ასული და ვარსკენ არშუშა პიტიახვის
ძე. როგორც მათი მამები (ი. ი. ვარ-
დან მაშეკონიანი და არშუშა პი-
ტიახვი — ბ. კ.) განსხვავდებოდნენ
ეთმანეთისაგან, სარწმუნოების
სიმტკიცითა და ხასიათებით. ასე-
ვე არ მკვანან ერთმანეთს შვილებ-
ში — შუშანიკი და ვარსკენი:
ქალი იყო აუღებელი ხალი კლდე. უსაზღვრო
პატრიოტი თვისი ქვეყნისა“ (იქვე, გვ. 98).

არშუშას ღვაწლის დახაკნინებლად და რელი-
გიურ-პოლიტიკური მრწამსით ვარსკენთან მის
განათანაბრებლად მკვლევარი ლაზარ ფარბეცის
ცნობასაც იშველიებს. დიდი ხომები ისტორი-
კოსი ამბობს: ქართლის პიტიახვი „ქვეიანი
და გამომჩრჩეველი კაცი“ იყოო. ქარ-
თველი მკვლევარი განმარტავს: „მისი საქ-
მიანობა რატომღაც ამას არ ადას-
ტურებსო“ (იქვე, გვ. 98). ამ აზრის და-
მამტიკობედ სახუთებს მკვლევარი იშველ ლა-
ზარ ფარბეცის შრომაში ხედავს, თვლის, რომ
ირანის შაჰის იაჯერტის მიერ სპარსეთში
გაწვეულმა არშუშამ, ვარდან მაშეკონიანისაგან
განსხვავებით, უგვანო საქციელი ჩაიდინა, რო-
ცა რჯული შეიცვალა და სხვებაც — ხომები (და
ალბანელი) დიდულებიც, დაითანხმა ამაზე. შა

მმართველობის ხასიათს ოდნავი ცვლილებაჲს კი, რასაც მოაღწევს კიდევაც. ამგვარი თვალსაზრისის შემუშავება. როგორც ჩანს, ისტორიულზე მეტად ფსიქოლოგიური ფაქტორით იყო განსაზღვრული. პეტნიერები უპირობოდ ნინ: რაკი „პიტიახში“ იტიმოლოგიურად ისრულ ენობრივ სამუაროს უკავშირდება, ეს სამოხელეო ტერმინი ჩვენში დამკვიდრდა სპარსთა ბატონობის ეპოს. და, ამდენად, თუ შეიძლება ითქვას. იმთავითვე გენეალოგიურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც სპარსულად იყო გაშინაარსებული. თითქმის ამის დამადასტურებელ კონკრეტულ ფაქტსაც პოულობდნენ უძველეს ქართულ ხაისტორიო და დიიტერატურულ წყაროებში. კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი აწობს, რომ მორიანის შემდგომი მეოთხე მეფის ვარაზბაქურის დროს „მოვიდა ქრამ ზუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალქად, ცხხედ, და ქართლი მიხსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიითი და გუახსურაგანი“. აქ პირდაპირა ნათქვამი, რომ პიტიახში ქრამ ზუარ ბორზარდ წარმოშობითაც სპარსელი იყო და „პოლიტიკური ვინაობითაც.“

ცხადია, ისტორიული საბუთების სიმცირე და აგრეთვე თვით მოღწეულ პირველწყაროთა სიღრმისეული შრების ანალიზის მაშინდელი დონე ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს პიტიახშის ინსტიტუტის გენეზისისა და ბედისუფლების ხასიათის შესახებ ზემოხსენებული თვალსაზრისის შემუშავება-განმტკიცებისათვის. და მაინც უნდა ითქვას, რომ როგორც ჩანს, ამ მხრივ ზრულიად განსაკუთრებული როლი იკავბ ზუციხეშა შესრულდა. მან, ქართული სიტყვის შეუღარბებელმა დიდოსტატმა, ათას ზუთას წლის წინათ შექმნა ირანის შაჰის ერთგული. რქულისა და ქვეყნის მოღალატე მძვინვარე პიტიახშის უზადო ხატი, რომელიც დღესაც ამრწუნებს მკითხველს: ვარსკენის „ზახალი“ და „უივილი“, „ბრდღუნენა“. მისი შმაგი და მომწუნსველი ხაზე დღესაც არ ასვენებს მის სმენასა და მზერას. იგი მთლიანად ეუფდებოა მკითხველის ცნობიერებას. ერთგვარად თრგუნავს მას კიდევაც იქამდე, რომ მის შეგნებაში თვით ხაზედდება „პიტიახში“ ძალაუნებურად. ქვეცნობიერად სჭულისა და ქვეყნის გაზუადველის ეპიოეტად განზოგადდება. ამდენად ვარსკენის მხატვრული ხაზე ქმნის ერთგვარ ფსიქოლოგიურ ბარიერს, რომელიც, სანამ მიღებული ემოციებისაგან არ განვიტვირთობით, ამწილებს მის წინააორბედ თუ მომდევნო პიტიახშთა სიკეთეზე, ხათნოცხაზე, ქვეყნის სიუვარულზე მსჭელობას.

პიტიახშის ინსტიტუტის გენეზისისა და ბედისუფლების რაობის ვარკვევისას ზემოხსენებული ემოციებისაგან თავდაღწევის აუცილებლობა კარგად აქვს ნაგრძნობი და თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა ერთ ნაწილს. მაგ-

რამ... აქობებს, მსჭელობა თავიდან დაკრწყოთ როგორც ითქვა მიუთითებენ, რომ „პიტიახში“. ვითარცა ლექსიკური ერთეული და აგრეთვე, როგორც სამოხელეო ტერმინი, ირანული სამუაროდან მომდინარეობს. მაგრან ეს წინამძღვარი, ალბათ, გამოუსადეგარია ისეთი რადიკალური დასკვნის გამოსატანად, რომელიც პიტიახშის ინსტიტუტს გენეალოგიურად და მმართველობის ხასიათითაც უშუალოდ სპარსულ სამუაროს უკავშირებს. ამ აზრს დასტურებს ძველი მსოფლიოს ხალხების, მათ შორის განსაკუთრებით ქართველი ერის, ისტორიის გამოკვლეება. თითქმის მთელი შუახუკუნეების მანძილზე ქართულ ენასა და ყოფაში მკვიდრდებოდა უამრავი უცხოური სამოხელეო ტერმინი, მაგრამ მეტწილ უმეტეს ვევაში ამ ტიტულების მატარებელნი გენეალოგიურად და „პოლიტიკური ვინაობითაც“ ქართველები იყვნენ. არაობლემის კვლევისას ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობა თეორიულად და კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისითაც მიზანშეუწონელი იქნებოდა. ასევე, ალბათ, მიზანშეუწონელია სპარსელი ქრამ ზუარ ბორზარდის მავალითის განზოგადება და მასზე დაყრდნობით ქართლის პიტიახშის ინსტიტუტის გენეალოგიისა და „პოლიტიკური ვინაობის“ გაუტსუება. სწორად შენიშნა კ. გრიგოლიამ: „პიტიახშის უცხოური წარმოშველობისა და სპარსთა მხანურების დასამტკიცებლად ვერ გამოდგებოა სპარსელი ქრამ ზუარ ბორზარდის ვინაობა და საქმიანობა. ვინაოდან იგი ტიპურა სპარსელი დამსურბოა და უშუალოდ არაა ქართული პიტიახშის არაფერი აქვს საერთო“ („შინათობი“, 1955, № 3, გვ. 117).

ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად დაისმის კითხვა: თუ ქართლის პიტიახშებსა და პიტიახშ ქრამ ზუარ ბორზარდს შორის „საერთო“ იყო საერთო, მაშინ რამ გამოიწვია სპარსეთის შაჰის მოწოდების ყოფნა ქართლში ქვეყნის განმგებლისა და მხედართმთავრის „საბედლოდ“ ვფიქრობთ, ამ კითხვაზე სწორი პასუხი გაცუვა ვოალამეშ. მისი აზრით, ქრამ ზუარ ბორზარდის საქმიანობა ქართლში განხილული უნდა იქნეს „შაშინდელი“ აღმოსავლეთის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების კონტექსტში. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ქართლში ვაბატონებულ სპარსეთს დიდი ხანრთხე ელოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ დარიალის კარიდან. ამ საფრთხეს ქმნიდა თურქულენოვანი მოდგმის ხალხი — მუნთურქები. სპარსეთის შაშა ხაგანებო მისიით გამოავაგენა თავისი ერთგული მოხელე ქრამ ზუარ ბორზარდ და მის ნებას დაუკრწმდებარა ქართლი, სომხითი, ხანეთი და გუახსურაგანი. ირანელი პიტიახში გახდა დასახლებული ქვეყნებზე განმგებელი (ეს ქვეყნები „მიხსა ხარკსა შედგა“) და მხედართმთავარი. „ერთი

მოსვლის ხელში ასეთი დიდი ძალების თავ-
მოყრა იმხანად (აუნ-თურქთაგან) დარიალის
ქარის დაცვა-ჩაკეტვის განსაკუთრებული სა-
ჭიროებით უნდა უოფილყო წაქარნახევი. ეტ-
ყობა, ქართლში უშუალოდ სასანიანთა მმარ-
თველობის მისია ქრამ ხუარ ბორზარდის საქ-
მიანობით ამოიწურა, რადგანაც მის შემდეგ აქ
„ცალკე ირანელი მოხელე არ ჩანს“ (მაცნე,
ისტორიის... სერია, 1982, № 4, გვ. 108).

ვფიქრობთ, შეხადლებელია ზემოდასახელებ-
ბული მოსაზრებების შემდგომი დასაბუთებაც
იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჩვენების სა-
ფუძველზე. ალბათ, უურადღება უნდა მიეტყოს
იმ ფაქტს, რომ ამ თხზულების ავტორს არა
აქვს ნათქვამი, ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსე-
თის შაჰმა ქართლს პიტიახშად დანიშნა, ან,
თუ გნებავთ, ქართლის პიტიახშად გამოსე-
ნა. აქ მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ
ქართლში „მოვიდოა ქრამ ხუარ ბორზარდ
სპარსთა მეფისა პიტიახში“. ასეთ შემთხვევაში
არა გვაქვს რეალური საფუძველი, უწყუმა-
ნოთ ვაღიაროთ, რომ ბორზარდ დანიშნა
ქართლის პიტიახშად. კონტექსტით უფრო სა-
ვარაუდებელია, რომ ქრამ ხუარ ბორზარდ ად-
რევე, ქართლში მოსვლამდე, ფლობდა ამ ტი-
ტულს — ადრევე იყო „სპარსთა მეფისა პი-
ტიახში“ და არა შაჰსადამიანც ქართლის, ან
საზოგადოდ თხზულებაში დასახლებულად რე-
გიონის. პიტიახში. შეიძლება ვივარაუდოთ,
რომ იგი არც ოდესმე გამხდარა ქართლის პი-
ტიახში ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.
ალბათ: ამითაცაა განსაზღვრული ის ფაქტი,
რომ ამ მოხელეს ქართლის პიტიახშებისაგან
სრულად განსხვავებული ფუნქცია აკისრია.
როგორც ჩანს, თავის დროზე ქართულ მეც-
ნიერებაში აქაც ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა
იჩინა თავი: ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მე-
ფის პიტიახშია, ამიერკავკასიაში შემოგზავნი-
ლი; ქართლს მუადეა პიტიახშებქ სპარსთა ბა-
ტონობის ეამს, მათსადამე, ისინი თავიანთი
თანამდებობითა და საქმიანობითაც სპარსეთის
მოხელეები უნდა უოფილიყვნენო. ხდნამდევილე-
ში ეს იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თუ სხვა
პირველწყაროთა ჩვენების რამდენადმე ღა-
ლი, თავისუფალი ინტერპრეტაცია, რომელიც
არასწორ თვალსაზრისს ამკვიდრებდა ადრე
შუა საუკუნეებქ ქართლის შიდასახელმწიფო-
ებრივი წყობილების ერთ თითქმის ყველაზე
არსებით, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემა-
ზე. ეს შეცდომა მოგვანებით გასწორდა, თუმ-
ცა, კაცმა რომ თქვას, მას საფუძველი გამოე-
ცალა ჭირ კიდევ ჩვენი საუკუნის 40-იან
წლებში, მცხეთელ არქეოლოგიური გათხრების
დროს. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ქართველ
მეცნიერებს ეტყვიუტანელი მასალა მისცა
ქართლში პიტიახშის ინსტიტუტის მანამდე
მიღებული ქრონოლოგიის გადასახინჯად და,
სხვათაშორის, აქედან გამოამდინარე, მისი გე-

ნეზისის დასაზუსტებლად. „თუ მანამდე ფიქ-
რობდნენ, რომ პიტიახშები IV ს. მეორე ნა-
ხევრიდან ჩნდებიან მხოლოდ ქართლში და
ისქნი ირანის ქართლის მოხელეებს წარმოად-
გენდნენ, არქეოლოგიური ების შედეგად
აღმოჩნდა, რომ უკვე I-III საუკუნეების აბე-
რიაში საქმოდ მრავლად უოფილან ადგი-
ლობრივი, იბერიის მეფის პიტიახშები“ (ა. ბო-
გვერადე). ამდენად, უწყუმაწოდ შეიძლება
ვთქვათ, რომ „ქართლის პიტიახშობა აღმოცე-
ნებულა ადგილობრივ ნიადაზე და წარმოშო-
ბით უცხო ინსტიტუტი არ ყოფილა“ (ლ. ჭა-
ნაშია). ირანული ინსტიტუტი არ იყო იგი თა-
ვისი „პოლიტიკური ვინაობითაც“, თავისი
„სახელისუფლო მმართველობითაც“. ამ თვალ-
საზრისის საწინააღმდეგოდ ვერ გამოდგება
ვარსქენ პიტიახშის მოღალატური პოლიტიკური
მოღვაწეობა. „ამ რენეგატის ნაბჭქი კერძო
შემთხვევის შთაბეჭდილებას სტავებს ქვემო
ქართლის პიტიახშთა საგვარეულოდან“ (ა. ბო-
გვერადე). ეს არცაა გასაკვირი; ამგვარი ღალა-
ტი საქართველოს ისტორიამ უამრავი იყის
თვით ქართველ მეფეთა მხრივაც კი, მაგრამ
არავის არც მოსვლია აზრად, რომ ამის გამო
მათი „პოლიტიკური ვინაობა“, ქართველი მეფის
ინსტიტუტი, უცხოურად გამოეცხადებინა. ამ
აზრით ვარსქენ ქართლის პიტიახშის საქციე-
ლი ვერ მოასწავებს მისი „პოლიტიკური ვი-
ნაობის“, ჭყვით ქართლის პიტიახშის ინსტი-
ტუტის, უცხოურ (ამ შემთხვევაში — სპარსულ)
წარმომავლობას.

ამ ფაქტის გათვალისწინება საჭირო, როცა
ვარსქენის მამის, V საუკუნის შუა ხანების
ქართლის პიტიახშის — არშუშას პიროვნებას.
მის ღვაწლს ვახსიათებთ. სამწუხაროდ, ამჭ
საჭიროება მოხსნილია დასახლებულ ნაშრომ-
ში, რის გამოც ფერმკრთაღდება, კინდებთა კი-
დევაც დიდი სახელმწიფო მოღვაწის არშუშა
პიტიახშის სახე.

ალბათ, აქედან — ქართლის პიტიახშთა ინს-
ტიტუტის გენეზისისა და მისი სახელისუფლო
მმართველობის ხასიათის გაუთვალისწინებლო-
ბქდან — გამოამდინარე მკვლევარი არშუშა პი-
ტიახშისა და მის თანამდგომთა შესახებ არსე-
ბული სომხური წყაროების ცალმხრივ ინტერ-
პრეტაციას სთავაზობს მკითხველს. შევიხსენოთ:
მას მოაქვს ლაზარ ფარქეცის ცნობა იმის შე-
სახებ, რომ ცურტავის მფლობელი არშუშა
პიტიახში (ვარსქენქს მამა) ითვლებოდა „ქვეთან
და გამოჩენილ (გამომჩვეველ — ბ. კ.) კა-
ცად“, თუმცაო, — აგრძელებს მკვლევარი, —
„მისი საქმიანობა რატომღაც ამას არ ადას-
ტურებს“. დაისმის კითხვა: რატომ? პასუხი
ასეთია: არშუშამ უგვანო საქციელი ჩაიდინა,
როცა მიძღო მარდინაზობა და სხვებიც დათანხ-
მა ამზე, დარჩა სპარსეთში და გახდა შაჰის
ერთგული.

ახეა ვითომ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად

საჭიროა ერთხელ კიდევ გადავხედოთ სომხურ პირველწყაროებს და არშუშას შესახებ მათში დაკუთხულ ცნობები განვიხილოთ ეპოქის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ კონტექსტში რადგანაც არშუშას პიროვნება შესაცნობია მხოლოდ და მხოლოდ ამგვარ კონტექსტში და არა მისგან იზოლირებულად. განცალკევებით, ფრაგმენტულად.

არშუშა პიტიაზის შესახებ ცნობები მოეპოვება კორიუნს, ლაზარ ფარბეცს, მოხე ხორენელს და სხვ.

აქედან პირველი ორი ავტორი V ს. მოღვაწე, კორიუნი ალბათ არშუშას თანამოახავე, ლაზარ — უმცროსი თანამედროვე. ორივენი V ს. სომხეთისა და ქართლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაში, აგრეთვე აღმოსავლელ დასყარობთა სარწმუნოებრივ-პოლიტიკური აგრესიის არსში ღრმად ჩანედული პიროვნებანი არიან. მეტის თქმაც შეიძლება; ლაზარ ფარბეცი არშუშა ქართლის პიტიაზის (ვარსკენის მამის) სასახლესთან დიდად დაახლოებული პირი იყო. თავისი ქვეყნის წინააღმდეგობის უამრ იგი აქ აღიზარდა, სწორედ არშუშას ოჯახმა მოაგება მას დიდი ხათრობა, სიყვით და სიუვარული. რის გამოც გამოჩენული მადლიერების გრძნობა სიცოცხლის დასასრულამდე დაჰყვა დიდ სომეხ მოღვაწეს. უოტელივე ზემოაღნიშნულის გამო უნდა ითქვას, რომ ორივე ისტორიკოსი სანდოა, აღწერილი ფაქტებისა და მოკვლევების თანამედროვე და მისი ზედმიწევნით მსოდნე.

ახლა ვნახოთ, რას ამბობენ ისინი არშუშა ქართლის პიტიაზის შესახებ. კორიუნი მიუთითებს, რომ არშუშა იყო სათნო, „პატროსანი და ღვთისმოყვარი“. აღნიშნავს მის სრულიად განსაკუთრებულ წადიერებას ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის, აღწერს მის შედგარ ბრძოლას მწვალებლობის წინააღმდეგ. იგი ამ საქმეში დახმარებისათვის მიმართავდაო მეზობელი ხალხების წარჩინებულ ქრისტიანებსაც, როგორც იყო, მაგალითად, მესროპ მაშტოცი, კორიუნი ამბობს, რომ მაშტოცი ორჯერ ვახლდაო ქართლში. მეორედ მოსვლისას „კაცმა პატროსანმა და ღვთისმოყვარემ, რომელსაც ერქვა არშუშა, ჩააბარა მას თავი თვისი მთელი თავისი გავარით (ქვეყნით) და მისი ყველგან გავრცელებული მოძღვრება რაიმე დაკლების გარეშე განდიდა, ვიდრე ყველა სხვა გავარში“ (ლ. ჯანაშია, „შუშანიის წამება“. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, I, თბ., 1980, გვ. 5). სწორედ აქ, ქართლში, მაშტოცის მეორედ მოსვლის აღწერამდე, ესორიუნს მოთხრობილი აქვს მისი ბრძოლის შესახებ ბორბორიტობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით სწორად შენახა ლ. ჯანაშიამ: „საფიქრებელია, რომ

მაშტოცი ქართლშიც იმავე მიზნით (წვალებასთან ბრძოლა და ქრისტიანობის კადრება) იყო მოხული“ (იქვე, გვ. 52-53). მანვე აღნიშნულის დამადასტურებლად მიიჩნია მოხე ხორენელის მითითება, რომ „გუგარელთა ბდებშია „არშუშა“ თავისი სამფლობელოთი — „ტ. შირელთა გავარში (ქვეყანაში) [მაშტოცი] მიიწვია მწვალებლობასთან საბრძოლველად“ (იქვე, გვ. 58, 78-74).

კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება დავასკვნათ: კორიუნისა და მოხე ხორენელის პავიოგრაფიულ-ისტორიოგრაფიული თხზულებებიდან ჩანს, რომ, წინააღმდეგ ქართველი მკვლევარის განცხადებისა, არშუშა ქართლის პატროსანი იყო არა უფრო უცვანო საქციელი არ ჩაუდენია რელიგიის ხდეროში, არამედ პირიქით. — იგი უოფილა კაცი ხათნო, პატროსანი და განსაკუთრებით, ღვთისმოყვარე. ქრისტიანობის მგწნებარე და მცველი, დაუძინებელი მტერი უოველგვარი მწვალებლობისა და წარმართობისა.

არშუშას პიროვნების, მისი ღვაწლის შესახებ უველაზე სრულ ცნობას გვაწვდის ლაზარ ფარბეცი თავის „სომხეთის ისტორიაში“. იგი ამბობს: მაზარბეტმა მიმარნერსესმა თავისი მბრძანებელი შამი იაჰყერტი დაარწმუნა დაპყრობილი სომხების „დალუპულ სულთა მოპოვების“, ანუ მათი გამაზღვინების. აუცილებლობაში. შამმა დაუოვინებლივ მიხწერა წერილი ამის შესახებ თავის ქვეშევრდომ სომეხ ავაგებს“ (დიდებულებს). ავაგნი შეიკრობნენ. ითათბირეს და უარი შეუთვალეს. იაჰყერტმა მოაწყო სომეხთა წერილის საჯარო განხილვა: რისხვა მისი დაუტოვანელ იყო პირსა ზედა ქვეყნისასა. სომეხთა უარით გამძვინარებულმა იაჰყერტმა უფრო მეტი მოინდომა, ვიდრე აქამდე სურდა — თვალი დაადა მეზობელ ქართლსა და ალბანეთსაც, ბრძანა, მეესეულად მიეწერათ წერილი სამივე ქვეყნის „ტანუტმარებისა და უბუცების სეპაშისათვის“, რომ ისონი „საჩქაროდ და დაუბრკოლებლად“ მისულიყვენ მის კარზე, „ხოლო ვინც დაიზარებს და დაიგვიანებს, უოველგვარი პატივის გარეშე სიკვდილით დაიჭებოა“; — იყო შუქარა შამისა (ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარბეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 216). ახლა შედრკნენ სომეხნი. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მძვინვარე მბრძანებელი შეუსწენელთა მიმართ არაფითარ გამოჩაყლისს არ უშვებდა — უკლებლივ ყველას დახწით ემუქრებოდა უბრალო დავიანებლს შემთხვევაშიც კი და ამ მუქარის აღსრულებასში — ეს სომეხებმა ძალიან კარგად იცოდნენ — მას ხელს ვერავინ შეუშლიდა. გამართა სამთა — ქართველების, სომეხებისა და ალბანელების — თათბირი. მოთათბირებმა გაითვალისწინეს მოახლოებული სა-

შეზღოვების სიმძიმე და წასვლა ამჟობინებს, ამასთანავე წინაღონი შესაძლებლად ცნეს შაპის კარზე ჩასვლის შემდეგაც ქრისტეს მცნებაზე ღარიბნი (იქვე, გვ. 218-217).

თათბირის მონაწილეთა შორის იყვნენ „ქართველთა ქვეყნიდან ბღეშხი აშუშა და იმ ქვეყნის სხვა ტანუტერები“ (იქვე, გვ. 218).

შაპმა დაუყოვნებლივ დაიწყო სამი ქვეყნის დიდებულთა დაკითხვა. უწინარესად სომეხი დიდებულებისა, ბოლოს დაატანა: „ხოლო თუ რასმე სხვანაირად ფიქრობთ და ნამდვილად ჩიუბად დაიფინებთ იმ აზრს და მცდარ ჩაქულს, რომლითაც აქამდის ცხოვრობთ სომეხნი, ქართველნი და აღბანნი... ცოლ-შვილითა და გვარითურთ დაგდუპავთ“ (იქვე, გვ. 220). ეს უკვე მეტისმეტი იყო. აღრე შაპის მუქარა მიემართებოდა უშუალოდ სომეხს ავაგებს, ახლა კი არაფერ ავაგებს არ დახეჩრდა, არც მათი ცოლ-შვილისა და მთელი გვარეულობის ამოწყვეტას, არამედ, მისივე ბრძანებით, უგვიე უნდა გარდახდენოდათ ქართველ და აღბანელ დიდებულებს, მათ ცოლ-შვილსა და გვარეულობას საერთოდ. ცხადია, აღნიშნულნი გარემოება გარდაუვალნი კატასტროფის წინაშე აუწებდა საშქვეყნანას, საშქვეობელ ხალხს. ჩანს, დიდებულთა დიდმა ნაწილმა მაშინათვე თვალწინ გაისიგრძგანა რეალურად მოსალოდნელი ეროვნულად საშიშროება და ცოტახნით გაჩუმდა, გაირინდა (იქვე, გვ. 220). ეს იყო სიკვდილის წინა გარდებდა. სიჩუმე ვარდან მამიკონიანმა დაარღვია. მან თქვა: ჩვენ აქამდე ერთგულად გმორჩილობდით, გემსახურებოდით, რაც კარგად უწყით თქვენ, იაქერტ, უფლას უფალს, და აგრეთვე უფელს არილბა. ჩემდათავად „მე ვანმეზრახავს ამიერიდან და შემდგომში თუ შემეძლებდა, თავი ჩემი ვავამრავლო (თქვენს მსახურებაზე), ამაზე მეტი ძალა და გულმოდგინება (ვამოვიჩინო), ხაცხვარებელი და ქონება, რომელიც ერთთავად ჩემს სახელშია, თქვენად ვაქციო... მაგრამ რაქული, რომელიც ბავშვობიდანვე ღმერთისაგან მისწავლია, მივატოვო და კაცის შიშით გამოვიცვალო, — შეუძლებელია“ (იქვე, გვ. 221). პირდაპირ უნდა ითქვას: ესაა სიტყვა გაქვრებული მორწმუნისა, რომელსაც ქრისტეს მცნებაზე დარჩენი, რეალური სიტუაციის გაუთვალისწინებლად, თავითონად უქცევია, რასაც შეიძლებოდა მოპოვებოდა უდიდესი ეროვნული უბედურება. ამ შემთხვევაში მას ვერ აღმოაჩნდა ის სიბრძნე, რაც მოგვიანებით, XIX სუკუნეში, ერთმა უბრძანა ქართველმა დღელთ დუნიამ დიდ ილიას აუწვა: „გუკუვიან ვაუკაცობაი იგი არს: ხად ღონი ვერ ღონობს,

იკიად ბერბს ემუდვნის“. ხოლო ჩვენს დროში, საქართველოს ისტორიის გამოცდილებაზე დაყრდნობით, კონსტანტინე გამსახურდიამ ბრძანა: „დილომატია ყოველ დროში მოითხოვდა არა შუბლით კლდესთან შეხებებას, არამედ გონიერულ მანევრირებას... მე ახლაც ვხედავ, თუ როგორ ქვეყანი ყოფილან ის პოლიტიკური მოღვაწენი ჩვენი წარსულის, მუსულმან მეზობლებთან დაჯავებას რომ მოითხოვდნენ, რათა ქრისტეს ქვარის გამო ბრძოლაში არ გაეწყვიტათ ხალხი“ სამწუხაროდ, კონსტანტინე უმძიმეს პოლიტიკურ სიტუაციაში, ვიმეორებთ, — კონსტანტინე უმძიმეს პოლიტიკურ სიტუაციაშიც. ეს თვისება ვერ აღმოაჩნდა სომეხთა დიდ მხედართმთავარს ვარდან მამიკონიანს; მან დილომატიურ „გონიერულ მანევრირებას“ არჩია „შუბლით კლდესთან შეხებება“, ჭკარცმულის რწმენის შენარჩუნების წილ სომეხების. საერთოდ მთელი კავკასიის, მოსისხლე მტერს იაქერტს აღუთქვა ქვეშევრდომული „სამსახურის გამრავლება“, კიდევ უფრო მეტი ყმური „გულმოდგინების“ გამოჩენა, აგრეთვე ფეშქაშად შესთავაზა მთელი თავისი უძრავ-მომძრავი ქონება.

ის, რაც ძნელბედობის უამს ვარდან მამიკონიანმა ვერ გამოავლინა, სახედნიეროდ, საშქვე ქვეყნის დიდებულებს აღმოაჩნდათ. მათ შორის უწინარესად არშუშა ქართლის პიტი-ახსს. კერძოდ, ვარდანის სიტყვებმა განარისხა ირანის მბრძანებელი და იგი შეიძლებოდა თავისი დანაქადის აღსრულებასაც იქვე დაუყოვნებლივ შესდგომოდა, მაგრამ სამი ქვეყნის დიდებულებმა აუხსნეს გამძვინვარებულ დიდმყრობებს, რომ ვარდანმა „დიდ საკითხზე“, სიტყვა მიავა „აჩქარებით და ვანხილვის გარეშე“ (იქვე, გვ. 222), ითხოვეს მოთათბირების უფლება, შეგროვდნენ ერთ ადგილას და მცირე ხანში „ბევრი იფიქრეს“ და იმსჯელეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ვადარჩენის არავითარი სხვა ღონე არ გააჩნდათ იმ მახისაგან თავდასახსნელად“, რომელიც დაუგო „ბოროტმა მონადირე სატანამ“ და რომელ-მეც „გაბა იხინი“, თუ არა მოჩვენებით, ფორმალურად მბრძანებლის ნების აღსრულება — დროებით გარეგნულად მივიღოთ მახედინობა, შემდეგ წავიდეთო ჩვენს ქვეყნებში და იქ ვიცხოვროთ „ქრისტეს ქეშმარიტი სარწმუნოების მსახურებით“ (იქვე, გვ. 222). დიდებულებმა საგანგებოდ იმსჯელეს სულის იწდვიდუალურ ხსნაზეც, ე. ი. იმ პირობებზე, რაც ახე აწუხებდა ვარდან მამიკონიანს. მათ, როგორც ღრმადმორწმუნე ქრისტიანებს, ვარდანზე ნაკლებ არ ესმოდათ საკუთარი სულის ხსნაზე ზრუნვის საჭიროება სასოვადოდ. მაგრამ მოცემულ სიტუაციაში ამგვარი ზრუნვა მიუტოვებელი ცოდავად, „საუკუნო დაღუპვის მიზეზად“ მიჩინეს და ხვევებით კანონო-

მეორედაც. მათ თქვენს: მსგავსად ვარდან მა-
მიკონიანისა. „თუკი ჩვენ სულთა ხსნაზე ვი-
ფიქრებთ და წინააღმდეგობას გავუწევით ამ
მბრძანებლის უსამართლო ბრძანებებს, საუ-
კუნო დაღუპვის მიზეზად შევიქ-
ნებით უამრავ კაცთა და ქალთა,
მოსუცთა და ურმათა, რომელთაც
აქ გადმოსახლებენ და სრულად
დაუშონებენ ურჯულობათა მსა-
ხურებას ნათესავითა ნათესავამ-
დო“ (იქვე, გვ. 224). რასაკვირველია, პიროვ-
ნული სულის ხსნა ოდნავადაც ვერ გაუტოლ-
დება ამ უდიდეს სახელმწიფოებრივ, უფრო
სწორად — სახელმწიფოთაშორის ტრაგიდიას.
არაბთა ბატონობის უამს დიდი სამომავლო
მიზნისთვის გრიგოლ ხანძთელის საზრიანი
მოქმედების შესახებ რ. სირაძის სიტყვების
(ეგრძე. „ქართული ენა და ლიტერატურა სკო-
ლაში“, 1988, № 4, გვ. 80) პერიფრაზს თუ მივ-
მართავთ, უნდა ვთქვათ: იმ კონკრეტულ სიტუა-
ციაში ირანის ბრძანებელთან უშუალო დაპირის-
პირება უპერსპექტივო იყო. ირანის ძალმომ-
რეობა მრავალ ქვეყანას მოედო. მათ შორის
განსაკუთრებით ამჟერკავკასიას. აქ სპარსთა
ძალმომრეობა ისე აღწევდა იყო, რომ
იმუამად, იმ მომენტში, მათ წინააღმდეგ ბრძო-
ლის მოწოდება ეროვნულ ღალატს ნიშნავდა.
ოღონდ ეს როდი გულისხმობდა სპარსედე-
ხისადმი სამუდამო მორჩილების შეგუებას.
ძველთაძველი სწავლებით. არის უამი ბრძოლი-
სა, უამი უკანდახევისა... და უამი პრინციპთა
შინაგანი შენარჩუნებისა, არდავიწყებისა „მა-
მულინა ჩვეულებისაბერ სღვისა“.

სამი ქვეყნის დიდებულებმა მთელი სიგარბე-
სიგანით გონიერულად განჭვრიტეს, რომ და-
უდგათ უამი უკანდახევისა „დიდი სამომავლო
მიზნისათვის“. პრინციპთა შინაგანი შენარჩუ-
ნებისა ისე, რომ ეს მტრისთვის შეუმჩნეველი
დარჩენილიყო.

არშუშას სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ
იგი ამ „ცალკეულ შემთხვევაში“ ჩინებულად
გაერკვა.

ამიტომაც სამი მეზობელი ქვეყნის მესვეუ-
რებმა ჩნტენისურად სცადეს მისი გადარწმუ-
ნება. „ისინი ვარდანს არწმუნებდნენ: „თუ
შენ გაიზიარებ ჩვენს ამ განჯარხვას და შეძ-
ლებდ როებით დაჭერო შენი გული, ვიცით,
რომ მრავალ წყალობას შევემთხვევით, ხოლო
სამივე ქვეყნის ერთიანი ცქელისა აობრებას
არ მიეცემა და არც ტყვედ წაიყვანენ ამ ქვეყ-
ნების ყველა მცხოვრებს. რადგან წმინდა ხარ-
წმუნობა კი არ დაიძვრის თავის საფუძვლი-
დან, არამედ მხოლოდ დროებით შეირხვეა და
მაშინვე მტკიცედ დადგება და გამყარდება...
ეს ნამდვილად ასე იქნება, უკეთუ შეძლებ
ჩვენს გამო დროებით დასწეულად“ (იქვე, გვ.
224). ვარდანმა არ ინება „დროებით დასწე-
ლება“. პირიქით. განაცხადა: „ღმერთმა დაში-

ფაროს, რომ ცოლის, შვილისა და გვარის გა-
ჭირვებაზე ვიფიქრო“ და არა საკუთარი სუ-
ლის ხსნაზეო (იქვე, გვ. 225).

ეს მტრისმტერი იყო. ამიტომაც დიდ საგო-
ნებელში ჩავარდნილმა დიდებულებმა „საფ-
რთხის საჭიროების გამო ვედრების სხვა ხერ-
ხები მოძებნეს“ (იქვე, გვ. 224). აქ ერთ-ერთი
და ყველაზე გადამწუვები როლი შეასრულა
არშუშა ქართლის პიტაიხში. იგი „ყველას
დაბეჩითებით და დაუსბრომლად აჩარებდა“
გონიერი გადაწყვეტის მისაღებად და განსა-
კუთრებით ვარდანზე ზემოქმედების მოსახ-
დენად, „არც თვითონ იხვედა უკან მასთან
ამაზე საუბრისაგან, განუწყვეტლად სობოდა
და ხშირად ახედებდა ამ საქმეში. თუ შენ არ
დაგვეთანხმები, სამივე ქვეყანა დაი-
ღუპებაო“ (იქვე, გვ. 227). ვარდანს დაუწ-
ყეს დამოძღვრა კონკრეტული სიტუაციის-
თვის შესაფერისი ბიბლიური სენტენციებით.
პირდაპირ მოახსენეს: „სიმაართლის რწმენაში
შენ ხომ უფრო დიდი და აღმატებული არა
ხარ, ვიდრე ქრისტეს წმინდა მოციქული პავ-
ლე, ხოლო ხომწმეთის, ქართლისა და აღბანეთის
წაღწენი უფრო მეტია და სათნო. ვიდრე
ჯვარზე მწმიდი ურჩებიო“. ამ ეტაპზე საკუ-
თარი სულის ხსნას ამჯობინეო „ქვეყნის
(ქვეყნების) ხსნა“ (იქვე, გვ. 228-29). ბოლოს
და ბოლოს ვარდანმა ძლივს „თავს იღვა დროე-
ბით გარეგნულად დაჭრილიყო სამივე ქვეყ-
ნისა და მათი კაცთა და ქალთა სიმაკვლი-
სათვის“ (იქვე, გვ. 230). ეს მოხერხდა უწინა-
რესად არშუშა ქართლის პიტაიხის სიბრძნის
გონებაგამჭირაბობის, აქტიური მოქმედების
წყალობით. ჩანს, ამას კარგად მიხვდა იაზერკ-
ტი და ამიტომ სამივე ქვეყნის დიდებულები
დააბრუნა ხამშობლოში. მხოლოდ სივნიეთის
იშხანის ვახაკის ორ ვეთან ერთად არშუშა
მძველად დაჭტოვა, „რადგან მომავალში
ხედავდა საქმეთა გაურკვევლობ-
ბას, ეჭვობდა და ფრთხილობდა“
(იქვე, გვ. 284). ეს ფაქტი კარგად ახედებს არ-
შუშას ღვაწლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ
მნიშვნელობას, ამახთანვე და ამითვე. ამ
ეტაპზე კი დიდების შარავანდედით მოსავს
მის პირიქნებას.

არშუშასა და მის თანამზარახველთა ღვაწლ-
მა მალე გამოიღო უდიდესი ისტორიული შე-
დეგი: მოჩვენებით გამაზღვანებული ვარდან
მამიკონიანი, და ამით უთუო სიკვდილს გადარ-
ჩენილა, მშვიდობით დაუბრუნდა თავის სამ-
შობლოს, დროებითი უკანდახევის შემდეგ
მას დაუდგა უამი შეტევისა. არც დაუყვანებია
(შეიძლება იჩქარა კიდევ) — ააქანა სომე-
ხი ნახარარები და, ნარაირის ველზე გმირუ-
ლად დაცეული, ზვარაკად შეეწირა მშობლო-
რი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას.
ამ ბრძოლაში ქართლს არ მიუღია მონაწილეო-
ბა, აღბათ, იმიტომ, რომ იმუამადაც არშუშა

პიტიახში ჩერ კიდევ პოლიტიკურ მძევლად აყვავდა სპარსეთის მზრძანებელს. მაგრამ მოძვე სომხეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში არშუშას ღვაწლის წარმოსაჩენად საკმარისია ითქვას, რომ ნარაირის ველზე იაზკერტის პოლიტიკური მძევლის ხულოც ტრიალებდა: აქ გაიღო მსხვერპლად ვარდან მამიკონიანმა ბუნებისაგან ერთბეღ ნაბრძენი სიკოცხლი, რომლის საზრიანნი დახარჯვის სიბრძნის სხვერბთან ერთად, და სხვერბზე უწინარეს, სწორედ არშუშა ქართლის პიტიახში აწიარა იგი. თუ არა ამ სიბრძნის შეცნობა, შეიძლება იყოს უდროოდ დასრულებული იყო დიდი მხედართმთავრის სიკოცხლი, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ წმინდანის გვირგვინი დაიდგა თავზე, თანაც სამი ქვეუწის ტრაგედიის ხაზღაურა.

სომეხი ისტორიკოსი არშუშას ღვაწლის წარმოჩენის ამით არ იფარგლებს. იგი ვარდან მამიკონიანის მეთაურობით სომხეთის აჯანყების დამარცხების შემდეგაც, და უფრო სწორედ მის შემდეგ, გაულწრფელად გვიყვება არშუშა ქართლის პიტიახში ხაოცარ ადამიანურ კეთილშობილებაზე, მალაღმონებრებაზე, პოლიტიკურ გამტარებაზე, რომელიც მან მოძვე სომეხი ხალხის შეილების ძნელებედობის უამს გამოავლინა და რითაც ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცელი ჩაწერა ორი ხალხის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ თუ პირადადამიანურ ურთიერთობათა ისტორიაში. მის ხაზრიან, ხშირად თავგანწირვის მყნამდე მისულ ქმედებაზე ისე უშუალოდ, ამაღლებულად გვიყვება სომეხი ისტორიკოსი, რომ, ათას ხუთასი წლის შემდეგაც, თანამედროვე მკითხველს ვრუანტილი დაუვლის, თუკი მას ისტორიული აღლო არ ღალატობს.

ღაზარ ფარსეი ამბობს: ნარაირის ველზე ვარდან მამიკონიანთა ერთად დედგაო მისი ძმა მამაიკი, „ამ გვარის სხვა წევრებიც“, აგრეთვე ბევრი სომეხი ნახარაი. დიწყო უმკაცრესი რეპრესიები. შაჰის ბრძანებით, ამოხოცეს სომეხი ეპისკოპოსებქ და მღვდლები, დიდებულები. ცხადია, ირანის მზრძანებლის მრისხანება დაუტევნელი იყო განსაკუთრებით მამიკონიანთა მღვდლის, უწინარესად კი ვარდანის ოჯახის წევრების მიმართ. მამაიკის „ძალიან ჩვილი ვაჟები“ — ვამანი, ვასაკი და არტაშესი, „როგორც სიკვდილით დახსნელობა შეილები“, წაყვანეს სამეფო კარზე, „რათა იქ მოეკლათ“ (იქვე, გვ. 240). მამიკონიანთა ქილაგს სრული „მოსპოლის“ საშორებობა კვლავ რეალურად დაემუქრა იმ განსხვავებით, რომ ამქრად უფრო შესაზარი ფაქტი მზ-

დებოდა — აწამებდნენ „ჩვილ“ ბავშვებს. ჩვილი მამიკონიანების დასჯა უშუალოდ შაჰ იაზკერტის ნებას ექვემდებარებოდა. ამდენად, მათი გამოსარჩლება უტოლობელი სიკვდილის ხაფრთხეს უქმნიდა ნებისმიერ პირს. ამიტომაც სასიკვდილოდ განწირულ სომეხ ურმებს თვის სტრატეგიან რეალურად ვერავინ თანაუდგა. მხოლოდ ერთადერთმა პირს ვინც ვამ პირდაპირ თვალბეზი შეხებდა სიკვდილს განწირულ ურმათა სიკოცხლის სახედი. ეს პირს ვინც ვამ ურმე არშუშა ქართლის პიტიახში გახლდათ — დიდი ხნის მძევალი მეფე იაზკერტისა. არავის არ სჭიროდა, თავდაპირვლად სხვათა შორის თითონ არშუშასაც, რომ იგი შესძლებდა უსაკო ტყვეების გამოხსნას, მაგრამ მისმა ბეწწამ, მუდარამ, ურმეები ქონების გაღებამ ბოლოს და ბოლოს ვასკრა — „დააქრა გული მეფისა“, რომელმაც მას, როგორც „ფრად დავწლმოსილ კაცს“, აურსულა „ყველახათის დაუქრებელი მისი დიდი თხოვნა“ — „უწყალობა“ ჩვილი ტყვეების სიკოცხლი. „ყველახათის დაუქრებელი თხოვნის“ აღსრულების სიბარულით გოგნებულმა არშუშა პიტიახში არ იყოდა. რა ექნა: იგი შოკირებული იყო. ადგა ეს დიდებული პიტიახში, ყველახათის „საყვარელი, ღვაწლმოსილი. გამომრჩეველი კაცი“ და „ყველას წინაშე კარავში დავარდა მინაზე, გორაობდა აქეთ-იქით და მიწას თავს სტემადა. როდესაც მეფემ და ყველამ ვინც იყო კარავში, ნახეს ეს, დიდად გაუვირდათ, რა ქნა ამ კაცმაო. მეფემ პკითხა მას: „ქართლის ბღეშხო, რა რაის ეგ ახალი საქმე, რაც დღეს გვიჩვენე?“ არშუშამ უპასუხა და უთხრა: „კეთილმოქმედო მეფეო, თქვენ მე ახალი საჩუქარი მომანიჭეთ, რომელიც ჩემს სხვა მეგობართაგანს. (თქვენს) მსახურს. თქვენგან არ მიუღია. მეც თქვენთვის ახლებური თავანისციემით უნდა მეცა თავვანი. როგორც თქვენ სხვა მსახურთაგან არასოდეს ვინახავთ“. როდესაც მეფემ და ავგთა მეთელმა სიმრავლემ მოისმინეს ეს სიტყვები არშუშასგან, ძალიან აქეს ის კაცი, და დიდად გოცდნენ“ (იქვე, გვ. 240-241).

უფრო ხაოცარი ის იყო, რომ არშუშა ქართლის პიტიახში სომეხ ტყვემნილთა, უკვი ტყვეყოფილთა, დახმარების გზაზე აქ არ შეჩერებულა. მან ამის შემდეგაც უდიდესი მზრუნველობა გამოაჩინა ოხლად შთენილთა მიმართ, მიღწეულით გათამამებულმა დროთა ვითარებაში იაზკერტ მეფეს ახალი თხოვნით მიმართა — ეჩუქებინა ტყვეყოფილნი მისთვის. იაზკერტმა თხოვნა აურსულა. არშუშამ 45 წელს მამაიკ მამიკონიანის ქვეყნივე და მისი სამი ვაჟი ქართლში ჩამოაყვანა და უდიდესი მზრუნველი გული დაახ-

ვედრა. რამდენიმე წლის მანძილზე უპატრონა, მოუარა. სხვათა შორის, მან აქ თვით ლაზარ ფარაქციც ჩამოიყვანა და მასაც თავის ოჯახში დიდი სიბოძო და სიყვარული აგრძნობინა. რასაც უკვე ცნობილი ისტორიკოსი მშაიკის შვილებს მოაგონებდა.

სომეხი ნახარარის ობლებმა თავიანთი ერთადერთი მხსნელი არაშუშა ქართლის პიტიახშის ოჯახში ჩინებული ალზარ და მიიღეს (რომ არაფერი ვთქვათ თვით ლაზარ ფარაქციც, რომელიც ცნობილი ისტორიკოსი და დედა) და მღერ იხინი. ქართლში დაფრთხილებულნი, თავიანთ სამშობლოში, მთელ სომხეთში, თვით სომეხი ისტორიკოსის ცნობით, „უველიაფერი შიწინავენი და ცნობილი გახდნენ“ (იქვე. გვ. 242). ძმებს შორის, და საერთოდ სომეხთა მოდგმის შორის, უაღრესად კრიტიკულ ეპოს, V ს. 80-იანი წლების დასაწყისში. როცა მზადდებოდა დიდი აქანუება დამპყრობ სპარსთა წინააღმდეგ, სომხეთს ერთ-ერთ უველაზე გამოჩენილ, გონება-გამჭირაბ პირად სწორედ მშაიკის შვილი ვამანი მოევიღინა. აგი მეთაურობდა 488-484 წწ. ცნობილ აქანუებას. მას გვერდში ედგნენ ოდებელაჲ სასიკვდილოდ განწირული. ობლად შეთენილი და მერმე არაშუშა ქართლის პიტიახშის მიერ დახსნილი და მის სასახლეში პატივ-დიდებათ ალზარილი ძმები. ლაზარ ფარაქციც ამბობს, რომ ვამანი იყო უოველგვარი ღირსებით შემკული ადამიანი, დიდი პატრიოტი და გონება-გამჭირაბი პოლიტიკოსი. ცხადია, ამგვარ პიროვნებას მტერიც ბევრი ჰყოლია, რომლებიც მას შამთან ნადაგ აბეულებდნენ. ინტრიგათა ქსელი ისე დაიხლართა, რომ ვამანის ბედი ბევრზე დაკვიდა. მანინ მან თავის მფარველ-აღმშრდელის არაშუშა ქართლის პიტიახშის გონივრულ ხერხს მიმართა. უფრო მეტიც; მასზე დაურდნობით. გარეგნულად, ერთი შეხედვით, უფრო საქობმანო ნაბიჯი გადადგა; თავად ეწვია სპარსთა მბრძანებელს, უარყო ქრისტიანობა და მზადდებოდა მიიღო. როცა დამბეულებლები ამასაც არ დასჭერდნენ, თავისი ერთგულების დახამტყიყებლად დიდალი ოქრო მთართვა შახს. ახეთი რამ თვით ვარსკენსაც არ ჩაუდენია, მაგრამ თუ ვარსკენის მოქმედება გარეგნულად, ფორმალურად და ფაქტობრივადც სპარსული ორიენტაციით იყო მოვარდებული, მისი მოქმედება მხოლოდ ფორმალურად, მხოლოდ გარეგნულად იყო სპარსოფილური, ფაქტობრივად კი ღრმად ანტი-სპარსული, საკუთარი მრავალტანჯული ქვეყნის ინტერესებს დაქვემდებარებული. მანაც უველაზე ხაზრინად გამოიყენა „უამი უკანდახევისა და უამი პრინციპთა შინაგანი შენარჩუნებისა“ — გარეგნულად გამაზღვანდა, შახს ურიცხვი ქონება უდგეშაჲ. რასაც მისთვის „ხელი არ შეუშლია... ირანელთა წინააღმდეგ აქანუებუ-

ლიყო და სომხეთის ეროვნული გზირი გამადარიყო“ (ლ. ჯანაშია).

შეიხვედლებმა იციან, რომ ვარდან მაიკონიანის, აგრეთვე საერთოდ სამი ქვეყნის დიდებულების, ხალხის, სიცოცხლის შესანარჩუნებლად უველაზე აქტიურად არაშუშა ქართლის პიტიახშმა იზრუნა, შემდგომ კი, უარყო სხსიყვედილო განაჩენს გადარჩენილი სიცოცხლე, ვარდანმა თავის სამშობლოს ინტერესების დაცვას მოახმარა. შეიხვედლებმა ისიც შეიტყვეს, რომ ვარდან მაიკონიანის ძმისწულების — მშაიკ მაიკონიანის შვირე-წლოვანი ვაჟები (საერთოდ მისი ოჯახის) სიცოცხლე უკვე ერთადერთმა არაშუშა ქართლის პიტიახშმა იხსნა საშინელი საფრთხისაგან. მეტიც; მანვე უპატრონა ობლად შეთენილ ყრმებს, ღირსებულად ალზარად, ბოლო იხინი ახევე ღირსებულად ემსახურნენ ქვეყნის ინტერესებს, ერთ-ერთმა მათგანმა კი, ვინც უველაზე მეტად მისდია არაშუშა ქართლის პიტიახშის სიბრძნეს, — ვამანმა, — სომხეთის 488-484 წწ. აქანუებას უწინამდგარა და გახდა თავისი ქვეყნის ეროვნული გზირი. აქაც, ხატოვანად რომ ვთქვათ, ამ აქანუებაშიც, არაშუშას სული ტრიალებდა, მისი მოქმედება „დიდ სამომავლო მშენებ“ მოემსახურა, მისგან გადარჩენილი მომხმე სომეხთა შვილები იბრძოდნენ და ეწირებოდნენ ეროვნულ საქმეს. ამდენად, — ეს უკვე არაა ხატოვანი თქმა, — არაშუშა ქართლის პიტიახშის სომხეთის ორი დიდად ეროვნული მოძრაობის სათავეებთან დგას სომეხი გზირების ტვერდითი იგი მაიკონიანთა ნიჭიერი მრჩეველი, ახლო-ბედი და უერთგულესი მზრუნველია.

ვფიქრობთ, უოველივე შემოადინშულის შემდეგ შეიხვედლს არ გაუჭირდება იმ თვალსაზრისის გაზიარება, რომ ქართველმა მკვლევარმა არაშუშა ქართლის პიტიახშისა და მის თანამდგომთა შესახებ არსებული სომხური პირველწყაროების მონაცემები განმარტა ტენდენციურად, ცალმხრივად. დაბეჭდვითი უნდა ითქვას, რომ სომეხი ისტორიკოსები (ხრულად უმნიშველო გამონაკლისის გარდა) არაშუშა ქართლის პიტიახშის სახელს დიდების შარავანდედით მოხავენ. ჩვენ მოვალენი ვართ. ეს შარავანდედი არ მოვაცილოთ მას.

როგორც აღინიშნა, მკვლევარმა ამ მხრივ არასწორად გადმოხცა ეროვნული პირველწყაროს „შუშანიკის წამების“ ჩვენებანიც, აგრეთვე უახლები ქართული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მონაპოვარნი. როგორ აფხებს იაკობ ხუცესი არაშუშას სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ საქმეობას? ამგვარი კითხვის დახმა და, მით უფრო, მასზე ვრცლად მხეილობა არ იქნებო-

მკითხველის ინტელექტის დაფახება, ამდენად უხადია „შუშანიის წამებაში“ ავტორის პოეტიკა არშუშას პიროვნების მიმართ: ის მისა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დეაქლის უდიდესი დამფახებელია. მან ახსულა მთლიანად კონტრასტის სერსზე ააგო „წამებას“ დასაწყისიდან დასასრულამდე მსკვლავს სახე ქრისტეს რკულის დამკველი შუშანიისა, ასევე დასაწყისიდან დასასრულამდე მან უკიდურეს კონტრასტულ ფერებში უპირისპირდება სახე ქრისტეს სკულის უარყოფითი მოვალატი ვარსკენისა. ამ კონტრასტში ნათლად ჩანს სახე სათნოების აღსავერ მამისა და მამათილითა — არშუშა ქართლის პიტიახში, რომელმაც ცუცხლთაუქანისმცემელთა გარმოცება და ქრისტიანთა დევნის უამს თურმე ქვეყანა აღაშენა და დააშენა ცუცხიებითა და სამარტვილებით, თავის ხალხში განამტკიცა რწმენა ქრისტეს სკულისა, ამდენად, უდარებად გონიერულად წარმართა უდიდესი ეროვნული საქმე. ეს იმას ნიშნავს, რომ მან, როგორც უნიტიერებსა დიკლომატიკა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ირანის შაჰთან ხარწმუნოებრადე-პოლიტიკური ორთახრძოლა მოეგო, რომელიც სიკვდილის-სიკვდილის ზღვარზე გადადგამს ამის ცოდნა აქვს იკობ ხუციებს და ამ ცოდნას გვიზიარებს ჩვენ ისე, რომ არც ახუნებს არშუშას იძულებითი, გარეგნულად გამოზღვევების უაქტს. პირიქით, მან დასაწყისშივე აუწყა მკითხველს, რომ არშუშა ჭეშმარიტი ქრისტიანი ვახლდათ. იგი ამბობს: ვარსკენი იყო „ნაშობი მამისა და დედისა ქრისტეანთა“ (მკითხველის უკრადლება შეიძლება იმხაც მივაქციოთ, რომ ავტორი აქ წმინდანის დედის ქრისტეანობაზე უწინარეს მამის ქრისტეანობაზე მიუთითებს). შერწყმარბელი იქნებოდა დაშვება აზრისა, რომ იკობს არ სცოდნა არშუშას გამოზღვევების ფაქტი. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად დაისმის კითხვა: რატომ არ ახუნებს ქართული მაგორაფი ამ ფაქტს და ავტორიგად რატომ უხვებს ხაზს იგი არშუშას დვითმოსაობას? უნადა ამ კითხვებზე გ. ფარულავას მიერ გაცემული პასუხი, (მხატვრული ხაზის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ. 1882, გვ. 75; 128).

ქართლის დიდი მოხელის „პიროვნების ჭეშმარიტი რაობის შეხანებლად“ ქართველ ისტორიკოსთაგან თუ ლიტერატურისმცოდნეთაგან გაწეულ შრომასაც გვირგვინ უვლის მოსოგრაფიის ავტორი. წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა კითხვა, რატომ არ გამოვა ახახვა მონოგრაფიაში თუნდაც კ. გრიგოლიას სპეციალურმა გამოკვლევამ — „V-VI ხუკუნეთა ქართლის პიტიახში და მათი ხა-

ხელოს ხაიოთხისათვის“ („მნათობი“, 1953, № 3), რომელშიც გარკვევითაა ნათქვამი: „ზედმიწვენი ირკვევა, რომ არშუშა ქართლის პიტიახში სამშობლო ქვეყნის ერთგული შეილი და მისი ეროვნული კეთილდღეობისათვის მოშურნი მებრძოლი უფილა“. რომ „სამშობლოს ლალატი ვერავითარი გზით არშუშას... ვერ მიეკრება“. ასეთ პიროვნებად თვლიან არშუშას მ. ლორთქიფანიძე (ქართლი V ხუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1978, გვ. 8), ლ. ჯანაშია (ლავარ ფარპეციის ცნობები, საქართველოს შესახებ, გვ. 109-184; 228-248...), ა. ხოგვერძე (ქართლის პიტიახში ხელისუფლებისა და ვინაობის ხაიოთხისათვის, მხალეხი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 85, 1968, გვ. 84) და სხვანი. არშუშას „ღვაწლმოსილ და ავტორიტეტულ“ პიროვნებად, რაც მთავარია, ირანელების წინააღმდეგ მებრძოლ, „გამჭირაბი პოლიტიკური აღდოს მქონე“ მოღვაწედ რაცხს რ. ბარამიძე (ქართული ნწერლობის სათავეებთან, თბ., 1978, გვ. 14-15).

ამდენად, მოტანილი მხალეხი იძლევა ხვეებით რილურ საფუძველს, რომ გამოვიტანოთ დასკვნა: V ხ. შუა ხანებში ქართლში მოღვაწეობდა დიდად უქვიანი და გამომტრევილი კაცი, გონებახახვილი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და მოქალაქე, ეროვნული ხარწმუნოების ბურჯი არშუშა პიტიახში. ქართლის მეფეთთან ერთად უწინარესად ის იცავდა ქვეყნის ინტერესებს და არა სომეხი მამიკონიანები. მოძმე სომეხი ხალხის შევილები, კერძოდ მამიკონიანები, მამის უმძისეის განსაცდლის წინაშე აღმოჩნდნენ და სწორედ ის დროს იქით გაუწოდა მათ დახმარების ხელი არშუშა ქართლის პიტიახში. ამით იგი საერთოდ ამიერკავკასიის მანსტაბის პოლიტიკურ მოღვაწედაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ დიდ მოღვაწეს ერთი უღირსი შეილი მუყავა — ვარსკენი, რომელმაც უღალატა ქვეყნის ინტერესებს. მაგრამ ეს როდი გვაძლევს უფლებას, ღირსეულ მამას ავცილოთ უღირსი შეილქს მძიმე ცოდვა. ობიექტურობა მოითხოვს, ისიც აღინიშნოს, რომ არშუშას ეს უღირსი შეილი, „შუშანიის წამების“ მიხედვით, სულაც არ უფილა „მშინარა და უნებისყოფი“. პირიქით, ის იყო გულწინადი, მძინვარე, შეუდრეკილი, ბოზოქარი სულის პიროვნება, რომლის „ბრდღუნა“, „ნახილი“ და „უვილი“ დღესაც, მის იმიერ სოფლად მიცვალეხიდან 1500 წლის შემდეგაც, მძაფრად სწვდება უკრს. ამ მომცროს თხულებებაში ძღვებს ციკვა მისი ვნება, ბორგვა მრისხანე სულისა, რამაც, სხვათა შორის, თავად დიდ რომანიხტს კ. გამსახურდიას ათქმევინა: „შუშანიის წამება“ პირველი ნამდვილი რომანი არისო ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ. რომ ვარსკენს „ხარ-
ხეთის ბეღობელების“ წინაშე კი არ მოუხრია
ქედი. არამედ მისი ერთი მფლობელის, პეროზ
შეფის წინაშე. „მცონარი“ არ უოფილა
არშუშას შერე შვილი ქოჩიკი (ხიტუვა
„შედგარს“ დამოწმებულ კონტექსტში ამგვარ
მნიშვნელობა არა აქვს). პირიქით, იაკობ
ზუცეს იგი გამოყვანილი პუაჲს უადრებად
კეთილშობილ პიროვნებად. რომელსაც ცდა
არ დაუქლია თავისი რძლის შვიმე მდგომარეობის
შესამსუბუქებლად (თხზულებაში ამის
დამადასტურებელი ხაჭაო მაგალითებია მოი-
პოვება. რომელთა მოხმობით მკითხველს არ შე-
ვაწყუენთ) და რომელიც ხალღივით ტირიდა
ვარსკენის მიერ დატრიალებული ტრაგედიის
გამო. ამიტომაც გულწრფელია ხაუვარელ
რძალთან ნათქვამი მისი ხიტუვები: „ჩუნ

თუნიერ შენსა ფრიად დავშუერით. ვარნა არა
იუო ხმენაჲ, არცა ხიტუჲაჲ“. მისი ამგვარი
ქმედება, ცხადია, მცონარობისაგან შორს
დგას. ქოჩიკის პიროვნულ ღირსებაზე ისიც
მოუთითებს, რომ მას თვითკრიტიკის, ზოგჯერ
გადაქარბებული თვითმზილების, გამოჩე-
ხული უნარიც აქვს. ასე რომ იგი, განსხვავე-
ბით ვარსკენისაგან, ღირსეული მამის უღირ-
სი შეფლი არ უოფილა. პირიქით. ის თავისი
„უშუალობით, რაინდული კეთილშობილები-
თა“ და ხხვა მაღალადაშიანური პუმანური თვი-
სებებით მკითხველზე „წარუშლილ შთახბე-
დილებას ტოვებს“ (რ. ხარაშიძე). სწორად შე-
ნაშნა მ. ღორთქიფანიძემ, რომ ქოჩიკი „იდუ-
რად და პოლიტიკური განწყობილებით. მთელი
თავისი ქალაბით, შუშანიკის მომხრე იყო“
(მ. ღორთქიფანიძე, დახახ. ნაშრომი. გვ. 8).

